„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება - 100“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მართავს სტუდენტური ესეების კონკურსს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება - 100“. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სამივე საფეხურის სტუდენტებს.

კონკურსში მონაწილეობის სურვილის მქონე უნივერსიტეტებმა შიდა საუნივერსიტეტო ეტაპზე შერჩეული 2 საუკეთესო ნაშრომი უნდა გადმოაგზავნოთ 2019 წლის 28 თებერვლამდე ელექტრონულ მისამართზე: irakli.iremadze@tsu.ge.

კონფერენციის ნაშრომების სავარაუდო საკითხები შესაძლოა შეეხებოდეს: დამფუძნებელი კრების არჩევნების საარჩევნო სისტემას, საარჩევნო პროცესს, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს, საარჩევნო პროგრამებს, საარჩევნო კამპანიას, არჩევნების შედეგებს, დამფუძნებელი კრების შემადგენლობას, კრების კომისიებისა და ფრაქციების მუშაობას, კრების საქმიანობაში ქალთა და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას, კრების ზოგად კანონშემოქმედებითობას, კრების მიერ მთავრობის კონტროლსა და სხვ.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტის მიერ შექმნილ საბოლოო სტატიაში მითითებული უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ირაკლი ირემაძე

ტელ: 595 95 66 72

ელ. ფოსტა: irakli.iremadze@tsu.ge